საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
ელ. სამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე. **პარასკევი, ოქტომბრის 1. 1920 წ. № 110** ფასი 10 მანეთი

ეროვნულ-დემოკრატიული
×× პარტიის მთავარი კომიტეტი ××

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

ორმად დამწუხარებულნი არსენი, აპოლონი, ივანე მარიამი და იულია აუწყებენ ხათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 3 ოქტომბერს, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დასაფლავებიდან ერთი წლის შესრულების გამო ძვირფას და დაუვიწყარ, პირველის მეუღლის და დანარჩენები დედის

ნატალია გესარიონის ასულის

კოგანიძისას

სულის მოსახსენებლად. 3—1

ქართული კლუბი

კვირას, 3 ოქტომბერს 1920 წელს დღის 12 საათზე დანიშნულია ქართულ კლუბის დარბაზში

წევრების საგანგებო და საზოგადო კრება

1. 1920—21 სამოსწავლო წლის სტიპენდიების განახლება
2. კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.
3. მიმდინარე საკითხები.

შენიშვნა: კლუბის წესდების მე-31 მუხლის ძალით კრება კანონიერათ ჩაითვლება, რაც მცირე წევრთა რიცხვიც არ გამოცხადდეს.

2—50—1

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო

ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ თანახმად წესდების § 18, კვირას, 3 ოქტომბერს, ქართული დრამის თეატრში, შუადღის 12 საათზე შესდგება წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველი საგნები: 1. საზოგადო კრებს დადგეილებათა განხილვა.
2. სასურველი საკითხი.
3. მიმდინარე საკითხები.

2—49—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა

პარასკევს, 1 ოქტომბერს 1920 წელს.

პიკის ქალი

მონაწ.: რისსი, ერმოლინსკაია, პანინა, ვიშემირსკაია ცაგარელი, ოვსიანნიკოვა, სარაჯიშვილი. დროზდოვსკი, ოლიანევი, თარხან-მოურავი, დემიანენკო, კურბატოვი, ეზეროვი, ჟურხული, ორლოვი.

2 ოქტომბერს **რიგოლეტტო.**
3 ოქტომბერს **აგესალომ და ეთერი.**

ოპერის დირექტორი ზ. ი. ევლახიშვილი.

მრეწველობას ეგრძვიან

ჩვენი პოლიტიკის პასუხისმგებელ პირთა ოფიციალი განცხადებანი, რომ ისინი მხარს უჭერენ კერძო ინიციატივას და ყველა საშუალებით ცდილობენ, ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობა აღაყვავონ—უბრალო ყალთაბანდობათ და თვალთმაქცობად გვეხატება, როდესაც სიტყვებიდან მათ საქმეზედ გადავლთ. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არსებობის წყაროს უქრობს ყველა არსებულ წარმოებას და ბევრი ამათგანი სრულიადაც გამოასალმა წუთისოფელს. შეუჩერებელი იერიშია მიტანილი კერძოთა წარმოებებზე. საკმარისია მუშებმა პროფესიული კავშირის წინაშე დააბეზღონ რომელიმე წარმოება, რომ იგი განგებ ამცირებს თავის ფარგლებს, ან რომ განზრახ თავის დროზედ არ ამზადებს საქონელს, რომ დაბეზღებული წარმოება პატრონს ჩამოერთვას და სახელმწიფომ დაისაკუთროს. კიდევ უარესად, ვინმე ძველი რეჟიმის დროს, საკმარისია უბრალო დაბეზღება, რომ გამოუძიებლად წაგართვან უწმიდესი სამოქალაქო უფლება, ნივთიერი და სულიერი პროგრესის ნამდვილი შემოქმედი—შენი საკუთრება, შენი წარმოება! ასეთი განუკითხველობა და ძალმომრეობა შეიძლება მხოლოდ უუფლებო დესპოტიურ ქვეყანაში, ამ მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნამდვილი დესპოტიური ქვეყანაა. შრომის მინისტრის ამხანაგის ბ-ნი ბახტაძის განცხადების თანახმად, მორიგი დაბეზღება თამბაქოს ქარხნებში მომუშავე მუშებისაგან შემოსულა და ამ დაბეზღებას მორიგ საკითხად ამ ქარხნებს ჩამორთმევა დაუყენებია. საქმე გამოძიების პროცესშიაო, მაგრამ ვინაიდან ბ-ნი ბახტაძე ირწმუნება, რომ ჩამორთმეულსა და სახელმწიფოს ხელში გადმოსულ ქარხნებში წარმოება ცხოველდება და შრომა მეტ ნაყოფს იძლევაო, ამიტომ დაბეზღებული ქარხნების ბედი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. ბ-ნი ბახტაძის „მოტივები" სიტყვის მასალა იყო სოციალისტური დელეგაციის წინაშე, თორემ ვინ არ იცის, რომ სახელმწიფოს ხელში სტლს ლოფავს როგორც ჩამორთმეული, ისე მემკვიდრეობის წესით საკუთრებად გადმოსული ქარხნებიც!

ეს ცოტა!

მთავრობის პოლიტიკა აჩანაგებს და თხრის კერძოთა ქარხნებს და მრეწველობას. იგი პოლიტიკა საგანგებოდ ისეთ პირობებს უყენებს აღმოსაცენ და განზრახულ ახალ-ახალ მრეწველობას რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება ჩვენში რაიმე საქმის დაწყება. ხომ იცით, უცხო კაპიტალი, ცოდნა და ტექნიკა გვინდაო, ხომ სამივეს ეპატიჟებიან საქართველოში მრეწველობის წარმოსაშობად და გასაზრდელად. მაგრამ რიდესაც საქმე საქმეზე მიდგება, არამც თუ უცხო კაპიტალის არ შემოუშვებენ, არამედ ადგილობრივ ეროვნულ კაპიტალსაც გარეთ სდევნიან. რა ღირს მარტო ერთი შაქრის წარმოების მოწყობის საქმე, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა განიზრახეს და რომლის განხორციელებლად ყველაფერი მზად ჰქონდათ: კაპიტალიც, მანქანებიც და მცოდნე პირებიც ჰყავდათ. მხოლოდ ჩვენი სამინისტროების ბოროტმა მადამ და არა კეთილგანწყობილმა ყურადღებამ ჩაფუშა ეს დიდი ეროვნული საქმე. თავის დროზედ ყველაფერი ეს მეტის დაწვრილებით ივნება აღნუსხული. იფუშება, და ვინ იცის რამდენი ხნით, აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი ქარხანაც, რომელიც შეძლებოდა გასულ თვეში ამუშავებულიყო ქალ. სამტრედიაში. იფუშება იმიტომ რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არსებითათ წინააღმდეგია კერძო წარმოების განვითარების, იფუშება იმიტომ რომ იძულებით, შეგვწროვებით და ერთგვარი ტერორით ჩვენი სამინისტროები ცდილობენ თითონ იგდონ ხელში თუ მთელი წარმოება არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც და აყენებენ ისეთ პირობებს, რომელსაც, არსებული ეკონომიური რეჟიმის ხანაში, ვერც ერთი წარმოება ვერ აიტანს და რომელზედაც არც ერთი გონიერი მრეწველი არ დაყაბულდება. სწორედ ამ მდგომარეობაში ჩავარდა იტალიის მოქალაქე პოჟი, რომელმაც განიზრახა აბრეშუმის ძაფის ამოხვევის საქმე ჩვენში მოეწყო. და ამისათვის გაეოყენებინა სამტრედიაში მყოფი, დღეს გაუქმებული ქარხანა. მთავრობისაგან ერთგვარი იმედის მიღების შემდეგ, ბ-ნი პოჟი იტალიაში დაბრუნდა, იქ მოძებნის ამ ქარხნის პატრონს ბ-ნ ბილიუს, მისგან ქარხანას იჯარით აიღებს, დაიყოლიებს მისავე ტექნიკოსებს, საქართველოში წამოსვლაზედ, შეიძენს ყოველგვარ მასალას, რაც კი საჭირო იყო და ყველა ამაებით საქართველოში ბრუნდება. აქ ქარხანას შეაკეთებს და სამუშაოთ განაგზავნებს, მაგრამ ამ დროს სოციალისტურ მუხრუჭს მოეჭერენ და საქმეც შესდგება! გინდა არ გინდა, მთავრობა წილში უნდა შეიყვანოო. კიდევაც რომ არ უნდოდეს, ბ-ნი პოჟი იძულებულია დათანხმდეს.

მაგრამ მომარაგების სამინისტრო მრეწველობისთვის ყოვლად შეუფერებელ პირობებს წამოუყენებს. როგორც სამართლიანად აღნიშნავს თვით ბ-ნი პოჟი, „მრეწველობის იმ პირობების დამკვიდრება, რომელსაც საქართველოს მომარაგების სამინისტრო ჰქმნის, საფუძველში თვით მრეწველობის მოკვლაა". ექვსი თვეა ბ-ნი პოჟი ამ საქმეზედ მუშაობს, ხელთ აქვს კაპიტალი, ქარხანა, ცოდნა და ტექნიკა—ყოველივე ის, რაც საჭირო არის მრეწველობის გასაჩაღებლად. მაგრამ ჩვენი სულთამხუთავი **პოლიტიკა** ამის საშუალებას არ აძლევს და პოჟი იძულებულია სთქვას, რომ მას ისღა დარჩენია რომ ტექნიკოსები იტალიაში გაისტუმროს და ამნაირად ქარხანა დახურულ და დაასკვნას: მარტო კეთილი სურვილი არ კმარებულა საქმის განხორციელებლადო. სხვა ქვეყნის შეგნებული მთავრობები ყოველგან იქით აძლევენ დახმარებას ახალი წარმოების დასაწყებად და გასაძლიერებლად. ჩვენში თავს ახვევენ ისეთ ბეგარას და პირობებს ყველა ახალი საქმის დამწყებს რომ შიგ. თავენიც ჩასტოვოს და საკუთარი ტყავიც! ასე ნადგურდება ჩვენში რაც არსებობს ის მცირე წარმოებაც; ასე ისპობა შესაძლოებაც ახალი წარმოების გაჩენისა. უიმისოდაც ღარიბსა და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანას ნივთიერი დაწესებულებანი, საშუალებას უსპობენ!!.

წასულ სტუმრებს.

ორი კვირის სტუმრობის შემდეგ ევროპის სოციალისტურმა დელეგაციამ დასტოვა საქართველოს საზღვრები. რამდენ დაც უზომოდ ახმაურებით შეეგებენ ქართველი სოციალ-დემოკრატები თავის მასწავლებლებს, იმდენად შეუმჩნეველი სიჩუმით მიაცილეს ისინი თბილისის დგებარ კადერთან. გატაცებული მენშევიკები ბოლოს ალბად მიჰბვდნენ, რომ დედა ქალაქის ქუჩებზე წარამარა გამოფენა „სახელმწიფო აპარატისა" არ არის კარგი სახელმწიფოს პრესტიჟისთვის, მით უმეტეს, როდესაც ზეიმაღლესები იმართება კერძო, არა ოფიციალური თუნდაც მეტად პატივსაცემ სტუმრებისათვის.

საქართველოს მიდამოების დათვალიერება და გაცნობა სოციალისტურ სტუმრებს ფრიად ესიამოვნათ. აკი ზოგიერთ მათგანმა განაცხადა, რომ საქართველოში ისინი თავს ისე ჰგრძნობდნენ როგორც ალპიურ შვეიცარიაში...

სხვაფრივ ევროპიელ სტუმრების ცნობის მოყვარეობას საქართველოს ვითარება ვერ დააკმაყოფილებდა, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ერთგვარ ინტერესს უთუოდ წარმოადგენდა ქართველი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ამ შემთხვევებისათვის მენშევიკები სადეკორაციო მასალაო იყენებენ.

სტუმრები დააფასებენ ქართველ სოციალ-დემოკრატების ნიჭსა და უნარს: არსად მთელს ქვეყანაში არ უხილავს თვით ყველაფრის მნახველ ემილ ვანდერველდს ასეთი საოცარი მომხიბლავი სურათი, რომ ინტერნაციონალი დროშის ქვეშ ერთნაირის სიამაყით იდგეს დეპოს მუშაც და ნახევრად ველური შოის ხალხიც. შეიძლება ამ „სასუცხოო" სანახაობას მეცნიერული დასაბუთება ვერ მისცენ ჩვენმა მარქსისტებმა, მაგრამ სურათი მაინც წარმტაცია და შთაბეჭდილება მისგან ევროპიელ სოციალისტებისათვისაც წარუხოცელი დარჩება.

ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა ევროპის სოციალისტების გამოსეირნებას შეიარეულ საქართველოში!?

გულუბრყვილო ქართველ მენშევიკებს ეს ამბავი იმედის ცეცხლს უღვიძებს გულში! მათ იქნებ კიდევ დაიჯერეს რომ ინტერნაციონალს სულის ჩამდგმელად ახლო მომავალში არც ბრიუსელი იქნება, არც პარიზი: მათ ადგილს დაიკავებს საქართველოს სატახტო ქალაქი თვისი პირმშო ნაძალადევით! აქედან დასცემს სოციალისტური რევოლუციის ხმა, აქედან იქნებიან მიმრქმელნი დამკვიდრებულ „მეორე დღისა.."

სოციალისტური ცენტრები მრავლდება! არ ვიცით რას იტყვან ასეთს კომბინაციაზე ქართველები და რუსი კოჟუხსტები, რომელთაც ეს ცენტრი მოსკოვში ეგულებათ და „მეორე დღეც" შესრულებულ აქვთ!..

ჩვენ მაინც ვამბობთ, რომ ევროპიელთა მოგზაურობა პატარა საქართველოში მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი ქვეყნის აღდგენილ დამოუკიდებლობის ისტორიაში: სოციალიზმზე ტაბილ ოცნებას ხალისით ვუთმობთ მენშევიკებს! საქართველოს „პროლეტარიატის" რიცხვი შეიძლება ნათ მარილაც ეხლავე მაჩვენებელ ფაქტორად ეჩვენებათ ჩვენი სამშობლოს სოციალისტურ ავანგარდში მოსაქცევად.. ხოლო ჩვენ სოციალისტ-ევროპიელთა ჩამოსვლას უნაყოფოდ არ მივიმჩნევთ იმ დიადი საქმის დასრულებისათვის, რომელსაც ეწოდება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო! კულტურული ევროპა და ამერიკა დღესაც მოწამლულია იმ შხამიანი ინსინუაციებით, რომელსაც დაუზოგველად ავრცელებდნენ ჩვენი ერის მტრები დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

ევროპის გავლენიანი პრესსა ხშირად ათავსებდა ყოვლად შეუსაბამო ცნობებს საქართველოს შესახებ და მით ცხადია ძლიერი ფერხდებოდა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი. სრულებით გაუცნობელი საქართველოს დღეკანდელი ვითარებასთან, მის წარსულთან, სახელმწიფოებრივ ტრადიციებთან,—ევროპიელნი ნდობით ეპყრობოდნენ ჩვენს წინააღმდეგ გაბნეულ ჭორებს, მხოლოდ კანტიკუნტად, აქა იქ და ისიც შემთხვევით თუ ვინმე მიაწვდიდა ევროპიელთ მართალ ხმას საქართველოზე. მაგრამ ასეთი სპორადიული გამოძახილი ჰჭრებოდა მეჭოოეთა შეთანხმებულ ღრიანცელში!

თვით ის ოფიციალური წარმომადგენელნი, რომელთაც ანტანტი სხვა და სხვა დროს და სხვა-შეზნით ვიგზავნიდა, უმეტეს შემთხვევაში იცნობდნენ საქართველოს ევროპის პრესიდან ამოკრებილ უმართებულო ჭორებით. საკმარისი იყო მცირე ხანი და ცოტაოდენი დაკვირვება, რომ მათ დიამეტრულად შეეცვალათ აზრი! უკმაყოფილოდ მოსულნი ისინი მეგობრებად გამოგვესალმენ და დახმარებაც აღგვითქვეს დამოუკიდებლობის იუოიდიულად ცნობისთვის...

ევროპის დემოკრატიის წარმომადგენელნი ეჭვი არ არის დააოწებენ თავის ვუდიტორიის წინაშე რომ ქართველ ხალხს, რომელსაც უხსოვარ დროიდან თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრება უტარებია, შეუქმნია თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კულტურა,—დღესაც ძალუძს თვისი ძალღონით გაუძღვეს საკუთარ ბედს. მათ შემთხვევა მიეცათ ენახათ ჩვენი ხალხი ეროვნული თავისუფლების დაბრუნების ჟამს და ვალდებულნი არიან გააბნიონ თავიანთ ევროპის პრესის საშუალებით ქართველობის დაუძინებელ მტერთა მიერ დანთხეული შხამიანა ჭორები აღდგენილ საქართველოზე.

იმედი გვაქვს, ამას არ დაიშურებენ ჩვენი სტუმრები და მით ძვირფასნი იქნებიან ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

განკეგი.

„სპეკულიაციასთან" ბრძოლა და ვალიუტის საკითხი ერთ მანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. ზომპარტის თქმის არ იყოს, კაპიტალისტური გაერთიანების უმაღლეს საფეხურზე გამარჯვებული ის ხალხი გამოდის, რომელიც უფრო მეტად არის აღჭურვილი სპეკულიატიური ნიჭით (ნივთთა ტრიალის დაქვემდებარება ფულის თვალსაზრისისთვის) და „სპეკულიაცია" ისეთი საერთაშორისო მოვლენაა, რომელთანაც ბრძოლა მისივე საკუთარ იარაღით თუ შეიძლება. ჩვენ აქ ამ წერილში, ძირითად მიზეზებზე არაფერს ვიტყვით. მკითხველის ყურადღება გვსურს მივაქციოთ უფრო ერთდროულ პალიატიურ ზომებზე, რომელთაც აქვთ ერთ გვარი მნიშვნელობა, თუ ისინი შეზავებულ იქნებიან უფრო რადიკალურსა და ძირითადი ხასიათის ღონის ძიებებთან ფინანსთა და ვაჭრ—მრეწვ. სამინისტროს მოუხდენია რევიზია სხვა და სხ. ბანკებისა, რომელთა მუშაობა ამ ბოლო ხანებში ხშირათ სპეკულიაციის ხასიათს ატარებდა. თქმა არ უნდა, რომ თბილისშიაც სხვაგანაც არსებობენ ბანკები, რომელთა არსებობის „რეზონდ—ეტრი" არა აქვთ, რადგან ისინი იმ რუსეთის ბანკების განყოფილებანი არიან, რომელნიც აღარ „არსებობენ და არ ვითარ ფულსა თუ ღირებულებას აქ არ აგზავნიან. და ეს განყოფილებანი, უსახსრობის გამო, ჩვენში ხელს კიდებენ „სპეკულაციას".

ან კიდევ ისეთი ბანკები აიღეთ ჩვენში, რომელთა ინტერესები ძირიან-ფესვიან ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის ეკონომიურსა თუ ფინანსიურ პოლიტიკას, და არც თავიანთ თავს რაცხენ საქართველოს ბანკებათ. მათი მოქმედება ხშირათ ხელის შემწყობია ჩვენი ვალიუტისათვის საზიანო მოვლენებისა, ზოგსა ჰგონია, რომ საქმეს ეშველება, თუ ბანკებს აიძულებთ და ყოველ კვირეულ ანგარიშებთან ერთად კვირეულ საშუალო ნაღდობას გამოაქვეყნებინებთ, რასაკვირველია, ამას დადებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მხოლოთ ფორმალურის მხრივ: არსებითად ბანკს შეუძლია ამ შემთხვევაშიც მიიღოს მონაწილეობა სასპეკულიაციო საქმეებში და მას მაინც ვერ მისწვდეთ. „ლონდონ ენდ კონტი ბენკრის" მაგალითი სწორეთ ამ აზრს ამტკიცებს. სულ სხვა ფინ. და ვაჭრ.—მრეწვ. მიერ განზრახული ზომა, ბანკებში მთავრობის კომისრების დანიშვნა, რომელთაც დაეკალებათ ერთგვარი მუდმივი, დეტალური და წინასწარი კონტროლის გაწევა ბანკის გამგეობის მუშაობისა და მოქმედებისათვის. არსებითად ეს როგორც ერთდროული ზომა მისაღებია, ოღონდ საჭირო იქნება ტექნიკურად კონტროლის გადადვილება, რომ ის ბანკის საქმეების გამართულებელი და კლიენტისათვის მძიმე ასატანი არ შეიქნეს.

მაგრამ ჩვენ გვინდოდა ერთ საშუალებაზე კიდევ მიუთითოთ მათ, ვინც მიუძღვის პრაქტიკულათ სავალიუტო დასხვა ამგვარ საქმეების მოწესრიგებას.

სპეკულიაცია ხომ ომის წინათაც არსებობდა. მას ებრძოდენ რიგიანნი, დიდი ბანკები. ებრძოდა გერმანიაში სხვათა შორის „ბერმანიის ბანკიც" ციმბრის ტყავეულობაზე დიდი მოთხოვნილება იყო მიუხედავათ საქონლის ბლომათ მოზვავებისა „ბრიიულის" ვაჭართა სახელებზე. ტყავეულობას თითქმის ყოველი ვაჭარი უგრავებდა ბანკს და ყიდვით კი არ ჰყიდდა, არც აგზავნიდა ლაიპციგის გარეთ.

სტატისტიკური ნაწილის ცნობა კი ადასტურებდა, რომ ორ კვირაში 50 პროცენტით გაიზარდა როგორც საქონლის ფასებში ისე ბანკიდან სესხის მოთხოვნილებაც, რაც იმდროსთვის დიდი, უჩვეულო მოვლენა იყო. ამის გამო გამგეობამ დაადგინა, სხვა ბანკებთან შეთანხმებით: ერთი კვირის შემდეგ შეწყდეს ყოველგვარი სესხის გაცემა უცხოეთის ტყავეულობაზე, და ტერმინებზე (ე. ი. ვადებზე) სესხის განაღდება ენერგიულათ წარმოებდეს (ამით ისპობოდა ტრატებისა და ვექსილების გამოცვლა ე. ი. ხელახლა დაგირავება გადაგირავება). შემდეგ ორიოდე კვირაში ლაიპციგის ბაზარზე ფასები ყირამალა დაეშვა.

ანალოგიური დადგენილება აქვთ ეხლაც მიღებულია ლონდონის და საზოგადოთ ინგლისის ბანკებს: არავითარი სესხი არ მიეცეს უცხოეთიდან შემოზიდულ ზოგიერთ ნედლ მასალას, რომ ამით აიძულონ შემზიდველნი, საქონე-

ლი რაც შეიძლება მალე და ზომერ ფასებში გაყიდონ. შედეგიც მიზნის შესაფერია. ბევრი საქონელის ფასები ამის გამო დაეცა. ლონდონის ბანკების კონსორციუმის ეს დადგენილება ნაგულის ხმევია აგრეთვე როგორც ვალიუტის გამასწორებელი ზომა.

ეს მაგალითები ჩვენთვისაც გამოსადეგი იქნება იმ მხრივ, თუ შეექმენით ბანკთა ერთი მუდმივი, ორგანო ანუ კომიტეტი, რომელიც ეხლახან დაარსებულ სავალიუტო საგანგებო სათათბიროს სასურველ მასალას მისცემდა, და საკითხს გაარკვევდა პრაქტიკულად, თუ რამდენათ, რა სახით, ან რა შემთხვევებში შეიძლება ჩვენმა ბანკებმა სესხი ან სულ მოუსპონ შემოზიდულ საქონელზე (მაგ. პური, მანუფაკტურა, რკინეულობა, წამლები) ან და ძალზე შეამცირონ (1 მე ათედი ღირებულებისა მაგ.) ეს ზომა, ვიმეორებთ, მხოლოთ დროებითია და პალიატივია მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, მაგრამ შეუძლია ხელი შეუწყოს იმ სერიოზულ მუშაობას, რომელიც აუცილებელია ვალიუტისა და ვაჭრობა მრეწველობის გასაუმჯობესებლათ.

არც ის გარემოებაა უმნიშვნელო, რომ უკანასკნელ ხანებში ბანკები მეტის სიამოვნებით აძლევენ სესხს მცირე ვადით ერთი, ორი, თვით. ერთი თვით სესხის მიცემა და მაღალ პროცენტის აღება-აშკარა დამამტკიცებელია რომ საქმეს სპეკულიანტური ხასიათი ჰქონდა. თუმც აქ მოკლე ვადა საქმის სისწრაფით ლიკვიდაციას ნიშნავს ან გულსხმობს მაინც, მაშინ როდესაც სპეკულიაცია ხშირათ ეწინააღმდეგება საქონლის სწრაფათ განაღდებას. ჩვენ ამისათვის მიუღებლათ მოგვაჩნია ზოგთაგან მოწონებული აზრი, რომ მოკლე ვადიანი სესხის გაცემა ბანკებს უნდა აეკრძალოსო. ერთი რამ ეს ბევრ პროვინციის ბანკს არსებობას მოუსპობს, მეორე ხელს შეუწყობს მევახშეობას. თუ კერძო პირები 100,000 მანეთ გასესხებით თვეში 15,000, ან 10 ათას მან. მაინც ღებულობენ, მაშინ ამ მოთხოვნილებას გაორკეცებენ.

ამგვარათ ჩვენ მიზანშეწონილათ მიგვაჩნია: მუდმივი წინასწარი კონტროლის დაწესება ბანკებისათვის იმ მიუცილებელ პირობათა დაცვით, რომელიც ზემო აღნიშნეთ; გაუქმება ზოგ მავნე საბანკო დაწესებულებებისა და განსაკუთრებით ბანკების ურთიერთ შორის შეთანხმებით და საბანკო პოლიტიკის უმთავრეს ხაზებში გაერთიანებით წინასწარი განსაზღვრა სესხისა სხვა და სხვა შემოზიდულ საქონელზე. უკანასკნელი ზომა დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს რადგან ჩვენი ქვეყანა უმთავრესათ იმპორტის ქვეყანაა.

ტ. მარგველაშვილი

პრესის მაგვარ.

ვეშაპელის „კლდემ" თავისი პირველი ნომერი ჩვენდამი მომართული ლანძღვა გინებით აღავსო.

ვეშაპელის „ნაციონალისტის" პირველი ნომერიც ჩვეულებრივ ჭორითა და ლანძღვა-გინებით ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ.

ამ მხრივ მართალ ვეშაპელის „ნაციონალისტის" „მეთაური" წერილი:

„ამ („კლდის") ტრადიციის განმტკიცებას ემსახურება შეურყეველად ნაციონალისტიო".

ვეშაპელს ჯერ სხვა ტრადიცია არ შეუქმნია გარდა სკანდალებისა და ლანძღვა-გინების ტრადიციისა და ეს ტრადიცია კი ღმერთმა მას ნუ მოუშალოს.

ჩვენ ერჯერაც არ გაგვიხდია პასუხის ღირსად ის „წერილები" რომელიც „კლდიდან" ჩვენს წინააღმდეგ იყო მომართული და არც იმას გავხდით პასუხის ღირსად, რასაც „ნაციონალისტი" თვის პირველ ნომერში ჩეხავს:

და ეს იმიტომ რომ ვეშაპელის „ამგვარ „გამოსვლებს" მის ამგვარ საქციელს არასოდეს პრინციპიული მოტივი არა ჰქონია და არც არასოდეს ექნება; ხილვის სცალიან პასუხის გასაცემაც იმ „გამოსვლებზე" რომელსაც მანიაკი ჩაიდენს სიცოფეშა.

ჩვენ ვეშაპელისაგან არაფერი გვიკვირს. არც მისი „ბორჯომის" ინციდენტი გაგკვირვებია და ამიტომაც თვით ჩვენს გაზეთში არც აღგვინიშნავს. ვეშაპელი რომ ჩვენს ადგილზე ყოფილიყო ამ ამბავს ერთი სამი თვე მაინც თავის „კლდეში" ყურით ათრევდა.

ვეშაპელისაგან ყველაფერს უნდა მოელოდეთ. ის არის „გატენილი" პეტარდა, რომლის ამ-ფეთქებელი პატრუქი ხელში სხვას უჭირავს. მისი ცხოვრების ისტორია და ის მრავალი დამუქრება, რომელიც მას სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ადგილს ჩაუდენია, ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ვეშაპელს ალბად ცენტრო-ბანკი დასჭირდეს; უსათუოდ ამ ბანკს გალანძღავდა თუ რაიმე მიზეზის გამო მისგან ხელი ვერ მოინაცვლა. ამავე დროს ბ ნი ვეშაპელი ერაძეს ექომაგება. მაშინ როდესაც მთელი სოციალ-დემოკრატიული პრესა სდუმს იმ მხილებისა და ბმალდებების წინაშე რომელსაც ჩვენ მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ ვაყენებთ, და ამ დუმილით ძალაუნებურად ჩვენს კამპანიას ეთანხმებიან. ვეშაპელი ერაძეს ექომაგება...

აქაც იგივე ვეშაპელიზმია:

თუ ცენტრობანკს სწვდა, ალბათ იმიტომ რომ გააწბილეს, ერაძეს ექომაგება—ალბ თ იმიტომ რომ გათეთრებულ „ნაციონალისტს" გარდაცვლილი „კლდის" მალიარიის სიყვითლე არ დაუბრუნეს.

მუნიციპალური საქმეები.

ქილიოლთაგან მხოლოდ ოკრიოდე.

2.

ნავთლუღში, რეიტერსის ქუჩაზე იმყოფება თბილისის ქალაქის გამგეობის საურმე-მექანიკური სახელოსნო (обз-механическая мастерская), სადაც ქალაქის გამგეობას დაგროვილი ჰქონია ბევრგვარი მასალები, განსაკუთრებით რკინეულობა.

შენობები.

სახელოსნო შეიცავს დიდ ეზოს, რომელიც გარს შემოვლებულია ქვითკირით. ეზოში რამდენიმე ფარდული და დახურული შენობაა. არც ერთი შენობა დამაკმაყოფილებელ პირობებში არაა; შუშები უმეტესად ჩამტვრეული თუ ამოღებულია, ჭერი ჭუჭრუტანებითაა დასერილი. წვიმა ზევიდან ჩამოდის და ეზოს წყალი ქვედან შედის. ზოგს გარედან ბოლქომი ადევს, მაგრამ ფანჯრებს ასეთი ჩარჩოები აქვთ, რომ ბევრი გასჯა არ დაგჭირდებათ შიგ შესასვლელად, თუ კი იკადრებთ გადაძრომას.

ინვენტარი.

აქ არაფერი აღარ ითქმის, გარდა ერთისა: ყველაფერი მიტოვებულია, უყურადღებოდ და უპატრონოდ. სამჭედურში, რომელიც ფარდულს წარმოადგენს, დაყრილია აუარებელი რკინეულობა, დაჟანგული და გაფუჭებული. აგერ-ეგერ ეზოში ჭყრია ფრიად ძვირფასი რკინეულობა, ან ნაწილები სხ. და სხ. სამკაულებისა და წვიმა ავდარში ფუჭდება. აქ ყოველ ფეხის გადადგმაზე ფეხს წამოკრავთ რაიმე მცირე რკინეულს, გაზს, ჩაქუჩის თავს, რკინის სოლს და სხ. აქ ნახავთ გაფუჭებულ ბოჭკებს, საცეცხურებ, სამხედრო სამზარეულოს ნაწილებს (походныя кухни); ფიცრებს, მილებს, ე. წ. „პერედკებს„ სამზარეულოისას; თვის პრესებს, ბოძებს; საკერავი მაშინა დანაწილებულია: თვით მაშინა სადღაც წაუღიათ და ფეხის საბჭენი და ხის სადგმელი დაუტოვებიათ; „ფეჩი", უჯრები ხეები, „ეტესტები", თუჯის გადასადნობი, მილები, „სამხედრო სახმილები (походнье пекарни), ბოჭკები, წყლის საქაჩავი (водокачки), საქაჩავების (насосы) ბორბლების ნაწილები და სხ. ამგვარი რამეები ზოგი ცის ქვეშ ჭყრია, ზოგი ნესტიან-წვიმიან ფარდულებსა თუ ოთახებშია. ეს საგნები ფრიად საჭირო და გამოსადეგი სხვა და სხვა დაწესებულებათათვის თუ კერძო წარმოებათათვის, მოწყვეტილია სახალხო მეურნეობას და უსარგებლოდ ფუჭდება ამინდისა და კაცს დაუზოგავათ. ბევრი რამე გადასადნობი, ხელახლავ გასაკეთებელია, ბევრიც ეხლავე შეიძლება გამოიყენოთ, რომ ჩვენი ეკონომიკის საჭირო ადგილზე იყოს მოქცეული; მაგრამ ეხლა ეს ნივთები მხოლოდ წვიმისა და ავდრისა თვის ჩაუბარებიათ. აქ არის ბოძები, რომელიც ესაჭიროება ქალაქ. გამგეობის ეზოს, მას არ აძლევენ და აქ კი უსარგებლოდ ფუჭდება.

მოვლა-ჭედამხედველობა

არავითარი მოვლა და ზედამხედველობა აქ არაფერს არ ემჩნევა. შიგ არიან დარაჯი და მორიგე, რომელთაც საქმისა ბევრი არაფერი გაეგებათ. ალბად ამისათვის თუ გადაწყვიტეს ამ მასალის გადაგზავნა ტრამვაის პარკში.

ტრამვაის პარკში

მდგომარეობა პარკში ბევრად არ განირჩევა დანარჩენისაგან. აქაც შენობები გადაუხურავი, კრამიტებ ჩამტვრეული, ჭუჭრუტანებით დასერილია და წვიმა-თოვლი თავისუფლად მორწყავს შინაგან ნაწილს. გადაუხურავია საწყობები, ფარდულები, სახელოსნოები, რადგან საჭირო შუშეულობა ვერ უშოვიათ. ორი წლის განმავლობაში ჰგზავნიან კაცებს უცხოეთში დავალებებით, რომ ეგ შუშეულობა ჩამოეტანათ. მაგრამ აქომომდე ვერ ჩამოუტანიათ და ისეთი რთული და მნიშვნელოვანი მექანიზმი, როგორცაა პარკის თუჯის გადამდნობი, სამჭედლური, მექანიკური და სადურგლო ნაწილები ავი ამინდის ზეგავლენის ამარათაა დარჩენილი. სადაც სახურავი კრამიტისაა, იქ კრამიტია დამტვრეული. სამჭედური, სადურგლო და სხ. ნაწილები საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს, გაფართოვებას და სხ. გაუმჯობესებას. აქაც უადგილობისა და ხელოსნო მასალა უფუჭდებოდეს. მოუვლელობას გამო და იმავ ქალაქის გამგეობის მეორე წარმეობას მაგ. ეზოს თუ პარკს იგივე მასალა ეჭირვებოდეს და საყიდლათაც ვერ შოულობდეს? უთავბოლობა და აწელ დაწეწილობა—აი, ნამდვილი სურათი, რომელიც იხატება ქალაქის ხსენებულ ადგილების დათვალიერებით.

ერთი გარემოება კიდევ უნდა მოვიხსენიოთ. ტრამვაის შუშების ხელფასის მომატება მოითხოვს კიდევ ზედმეტ ხარჯს—5 მილიონს და ტანთსაცმელი, რომელიც მათ ურიგდებათ 20.000.000 მან. აგეთი ახალ ახალი ხარჯები და ზედმეტი მრავალი შეუძლებლად ჰხდის პარკის გაუმჯობესებას და ახალ რაიმე წარმოებაზე ფიქრსაც კი (ფოლადის გადამსხმელ ნაწილს აგება მაგ.) და თვიდან თვემდე აძვირებს თვით მიმოსვლასაც ქალაქში. მაშინ, როდესაც იმავე პარკში მომუშავე ინჟინრები და ტეხნიკები იღებენ გაცილებით ნაკლებს ჯამაგირს ვიდრე ხელოსნები და „სპეციალისტი" მუშები.

დასკვნა: საეროოდ ქალაქის წარმოება ვერ დგას სასურველ ნიადაგზე. მიზეზი უმეტეს შემთხვევაში დაუდევრობა და საქმისადმი გულგრილობაა, რომელიც ემჩნევა ქალაქის გამგეობას. წარმოებათა ზედამხედველები და ხელმძღვანელები თვითონ თხოულობენ და იხვეწებიან, რომ იყვეს სასტიკი და მაგარი კონტროლი და თვალყურის დევნება გამგეობისაგან, რაც მოწმობს მას, რომ ეს თვალყურის დევნება ფრიად სუსტი და ნაკლებია ქალაქის გამგეობიდან. უკანასკნელ 2 ვერ მოუხერხებია თვითეულ წარმოებათა ინტერესებისა და მოთხოვნილებათა ერთი მეორესთან შეფარდება და მთლიანი საერთო სამეურნეო გეგმის წარმოებით ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. გამგეობა არ სცდილა ან ვერ მოუგვარებია მის განკარგულებაში მყოფი მასალები ან თვითონ გამოეყენებინოს სავსებითა და უნაკლულოდ, ან და გადაეცა სახალხო მეურნეობის სხ. კერძოთუ საზთგადო დარგისათვის და მით სახალხო მეურნეობას სარგებლობა არ დაჰკარგოდა. გამგეობას ვერ უწარმებია ისეთი მიზან შეწონილი გეგმა თუ პოლიტიკა, მაღალი სიტყვა რომ ვიხმაროთ, რომელიც მას საშუალებას მისცემდა მასალების გაცვლით ეშოვა სხ. თბილისში მყოფ დაწესებულებისაგან მისთვის საჭირო და მიუცილებელი მასალა, რომელიც უხვად აქვთ და უსარგებლოდ უყრიათ სხ. დაწესებულებათ მაგ. სატრანსპორტო რაზ. და სხ. ქალაქის გამგეობას ვერ მოუგვარებია, მიუხედავად უდიდესი საჭიროებისა, ისეთი ადგილი საქმის მოწყობა, როგორიცაა ბიტუმინოზის დამუშავება ნატანებთან, რომელიც საოკებლობას მისცემდა, როგორც თვით ქალაქის წარმოებას ისე საზოგადოდ ჩვენი სახალხო მეურნეობას. ქალაქის მეურნეობას არ ეტყობა შეფარდება და მორიგება სახალხო მეურნეობის მთლიან ერთეულთან, არამედ პურის განცალკავება თუ გამოთიშვა ამ მთლიანობისაგან, რაც ზიანს აყენებს როგორც ქალაქისა, ისე მთელი სახელმწიფოს მეურნეობას. მაშინ როდესაც პროვინციისა და დიდა ქალაქის გამგეობები კერძოთაგან დაწყებულსა და მოწყობილ წარმოებით სიამოვნებით და ადვილად ითვისებენ ჩამორთმევისა თუ „რეკვიზიციის" წესით, თბილისის ქალაქის გამგეობას რიგზე ვერ დაუყენებია საკუთარი იმ თავითვე ქალაქის განკარგულებაში მყოფი წარმოება და მასალათა გამოყენება. მას ვერ მოუწყვია დაწყება ბიტუმინოზის წარმოებისა მიუხედავად დიდი მოთხოვნილებისა და საჭიროებისა. ეს წარმოება რომ კერძომწარმოებელს დაეწყოთ ქალაქის გამგეობა ალბად ჩამოართმევდა. ამისთვის ცოდნა და შრომა არაა საჭირო. როდესაც საქმე მიდგა მაზე, რომ ქალაქს თვითონ დაეწყო ახალი წარმოება, ქალაქი საკმარის თაოსნობას ვერ იჩენს.

ტანინ.

ლაკეტები.

გერმანული პრესა.

დანციგის საკითხი.

დანციგის უმთავრესმა ბურგომისტრმა სამმა პარიზში მოსვლისას განაცხადა: დანციგს არ სურს მიიღოს პოლონეთთან დადებულ ექსტერიტორიალური ხელშეკრულება, ის მოითხოვს პოლონეთთან მოლაპარაკებას თანასწორ უფლებაზე. პოლონეთი—დანციგის ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს ვერსალის ხელშეკრულებას განსაკუთრებით იმ ნაწილში რომელიც „დანციგის ავტონომიას შეეხება, საიდანაც რასაკვირველია არ შეიძლება გამოვიყვანოთ აზრი თითქოს დანციგი თავის საკუთარ შეთანხმების წინააღმდეგ ფიქრობდა ბრძოლას. დანციგი მოითხოვს პირობითი ავტონომიას, მხოლოდ ხალხთა ლიგის მართველობის ქვეშ პოლონეთისა და დანციგის ეკონომიური ინტერესების შესათანხმებლად ხელ შეკრულებაში შეიძლება ცვლილების შეტანა, ამ პირობებს კი საერთაშორისო კომისია გამოიმუშავებს.

ფრანგული პრესა

რუსპუბლიკის გენერალურ მდივნათ დანიშნა ვინიონი.

საბერძნეთში გამარჯვება ზეიმით გადაიხადეს, ვუნიზელოსს საბერძნეთის ქალაქთა 2000 მოურავის სახელით გვირვინი მოუვიდა.

ახალი ამბავი.

მთავრობაში.

— **რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება.** მთავრობა მოისმინა რა ხელშეკრულების პროექტი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის, დაადგინა მიიღოს ეს ხელშეკრულება შემდეგი შესწორებებით: პირველ მუხლში შეტანილ იქნას შესწორება, რომლის ძალით აკრძალულია ეკონომიური დამოკიდებულების დაჭერა საქართველოს და რუსეთის რესპუბლიკას კერძო პირთა მიერ: ასეთი დამოკიდებულება იარსებებს მხოლოდ მთავრობათა მინდობილობით ან და მთავრობათა ნებართვით კოოპერატივებით, ერობათა და ქ. ლ. თვითმართველობებით, 2) მე-9 მუხლში შეტანილ იქნას შესწორება სატრანსპორტო ხელშეკრულების მიღების შესახებ: ვადა გაგრძელდეს 3 თვიდან 6-მდე.

— **მისალმება მთავრობას.** მთავრობის თავჯდომარის სახელზე სიფილ გალიდან სადაც გაიხსნა ს. დ. მუშათა პარტიის ყრილობა, მიღებულია შემდეგი მისალმება: ს.-დ. მ. პ. ყრილობა რომლის 28 სექტ. შესდგა სოფ. გალში მოგიგზავნიმ ბა თქვენ, ქართველი ხალხის ხელმძღვანელს. ყრილობას სწამს რომ ქართველი ხალხი თქვენის დახმარებით წინსვლას. ჩვენ ხელს შეუწყობთ სამშობლოს აღორძინებას და აყვავებას. გაუმარჯოს.

— **მუშაობა სახელმწიფო დაწესებულებებში.** მთავრობამ დაადგინა: 1 ოქტომბერიდან სახელმწიფო დაწესებულებებში მუშავობა სწარმოებდეს დილის 9 საათიდან ნაშუადღეებამ 3 საათამდე.

— **რკინის გზის კლუბი.** მთავრობამ დადგინა მიეცეს რკ. გზის პროფ. კავშ. საბჭოს სხვა და სხვა საქონელი 299,617 მანეთისა ქუთაისში კლუბის მოსაწყობათ. (სანდოსანი)

— **ხე-ტყის მასალა.** მთავრობამ დაადგინა დაუბრკოლებლათ და გაუშვან საზღვარ გარეთს ხე-ტყის მასალა, რომელიც ნებართვით იქნა ჩატანი ბათუმსა და მის ოლქში საზღვარ გარეთ წასაღებათ. (სანდოსანი)

— **მუშათა სახახლის შეკეთება.** მთავრობამ მუშათა სასახლის შეკეთების შესახებ შუამდგომლობის განხილვა გადასდო იმ დრომდე, სანამ ამ შენობაში მოთავსებულ ბანკების იურიდილი მხარე არ გამოირკვა.

— **სისხლის სამართლის წარმოება** მთავრობამ იუსტიციის სამინისტროს მოხსენების შემდეგ დაადგინა შეცვალოს სისხლის სამართლის წარმოების წესდება შემდეგი სახით: 170 მუხლი წესდებისა შეიცვალოს და მიეს ვერსზე დაენიშნოს 12-25 მანეთამდი. 2979 მუხლი შეიცვალოს, რომ მოწმეს დღეში 55 შაურ 3. იუსტიციის სამინისტროს შემუშავებული ჯარიმები მოწონებული იქნა და დაევალა მას პროექტში სათანადო შესწორების შეტანა.

— **მთავრობის თავმჯდომარე.** მთავრობის თავმჯდომარემ სექტემბრის 29 მიიღო შემდეგი პირები: „ჩვენ საზოგადოების წარმომადგენელნი გ. ... ...

— მარგანეცი. შრომის სამინისტრო და „ჩქმოს“ საზოგადოების წარმომადგენელები კვირა და უქმე დღეობით გემების მარგანეცით დატვირთვის საკითხის მოსაწესრიგებლად ფოთში ეცალ გზავრენ.

ძალმომრეობა.

ჩვენს redაქციას და საქართველოს საგაზეთო პალატას შემდეგი დეპეშა მოუვიდა.

„დღეს საგაზეთო პალატის წევრმა უფროსგუნაშვილმა გამომიცხადა რომ მას კვლავ ლდევნიან: მისი მაღაზიის ერთი თვალს, მიქირავებულს ნოტარიუსზედ, უკანასკნელის კონტორის საჭიროებისათვის, ხადაც უკვე იწყო ნაწილი ნოტარიუსის ავეჯეულობისა, მ ლიცამ, ქალაქ თ ვის განკარგულებით, მოაგლეჯა კლიტე გ დ მ ჰკარა ბარაკი გარეთ. და დაბეჭდა კ ნტორა. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ იშუამდგომლოთ ხადაც ჯერ არს რათა ბოლო მოეღ ს ერთხელ და სამუდამოთ ამ გვარ თვითნებობას. გიგზავნთ წერილობით ცალკე მ ხსენებას

ზ. ქიტიაშვილი.

რას მივაღწევთ?

ჟუშინ სახელმწიფო თეატრში სეზონის კარი შეიღო „აბესალომ და ეთერმა“ სასიამოვნოა ეს ამბავი: ქართულმა სულმა ქართული იცის და დასტკბა.

მაგრამ ეს არ ითქმის თვით საოპერო დასის შემადგენლობაზე. რა ბედნიერებაიგენებოდა, რომ ეს ქართული პირველი კლასიკური ნაწარმოები ქართული ძალებით ყოფილიყო შესრულებული!

მეტყვიან: დროული ავადმყოფობაა, მოვა დრო, წამოგეზრდებიან ახალი ძალები და მაშინ მაგ ნაკლსაც შეავსრულებთ. რა თქმა უნდა, ეს იმედიც დიდი რამეა. მაგრამ ეს არაა მთავარი ჩემგულისტკივილი: ჩვენ უნდა ვცდილობდეთ დასის შედგენაში ტენდენცია შევიტანოთ, თვით სტუდიიდანაც კი მოვიხმაროთ ძალები და ქართულ ოპერას მეტი ქართული ელფერი მივკეთ. დაეკვიყოთ ღარიბები, მაგრამ ჩვენს სიღარიბეს ნუ გავცვლით უცხოთა ბეჭყვიანლა სიმდიდრეზე.

მაგრამ შეუძლებელია გაჩუმება უფრო იმის გამო, რომ დასის შემადგენლობაში არ სჩანს თვალსაჩინო ფიგურა მიშელ დარიალისა (ნანობაშვილისა), ესიმ მიშელ დარიალისა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს და იცნობს უფრო ევროპა და ამერიკა.

როგორც ვიცით, ეს მომღერალი ევროპის სცენებს აშშვენებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ წერეთელმა და ჩხეიძემ გაცნობისთანავე პარიზში სთხოვეს სამშობლოს დაჰბრუნებოდა იგი.

მიშელ დარიალსაც არ დაუყოვნებია აქ ჩამოვიდა. შარშანდელ სეზონიდან გვახსოვს მი'ი შესანიშნავი რაული, ეს „ჰუგენოტების“ საუცხოვო გვირგვინი, გვახსოვს აგრეთვე მისი ჩინებული კონცერტებიც. და აი, ყველი ამის შემდეგ როცა ასეთი ძალა გვყავს გვერდით, როდესაც ჩვენი ოპერა დამშეულია სულიერად ქართულ ძალების ნაკლულოვანობის გამო, ჩვენ მას გვერდს ვუხვევთ. ვერ ვნიშნავთ.

არ შეიძლება დასის შემადგენელობა ინიციატორებმა მაინც გვიპასუხონ, რა მიზეზია მიშელ დარიალის ასეთი უგულისყოფა? გულმავიწყობაა, თუ...?!

კანდ დი.

სოციალისტური დელეგაცია ნ'ძალადევის მუშათა კლუბში.

ჰიუისმანსის სიტყვა.

„ჩვენ გვეგონა რომ ჩვენ აქ ყოფნის უკანასკნელს დღეს, რადგანაც ჩვენ დღეს 10 საათზე მივდივართ, სხდომა არ დაინიშნებოდა, მაგრამ ამხანაგებს გამოუთქვამთ სურვილი—მათ სურთ მოგვისმინონ ჩვენ, მაგრამ არა იმისათვის, რომ ვსთქვათ წასვლისას, თუ რა ნაკლი ვნახეთ ამ ქვეყანაში. აი ამიტომ ვიღებ მე სიტყვას. მე მსურს გაუწიო კრიტიკა ნახულს. ჩვენს ქვეყანაში ომის დასრულების დროს, მუშათა კლასი უკიდურეს, უდიდეს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. 3 მილიონიან მუშიდან—800,000 კაცი არ მუშაობდა და საზოგადოებრივი დახმარებით სცხოვრობდა. სხვები ჩამომხმარნი და დაავადმყოფებულები იყვნენ. ეს იმიტომ, რომ ჩემი პატარა ქვეყანა, რომელიც სივრცით 3-ჯერ პატარაა საქართველოზე, ხოლო მცხოვრებლების რიცხვი 3 ჯერ მეტია, დაიკავა გერმანიამ; მან გაანადგურა ჩვენი ქვეყანა წაიყვანა მუშები თავის ქვეყანაში და იქ ამუშავდება. ამის მერე დაავადმყოფდნენ და გაუჭირდათ მუშებს. ჩვენშიც შემოვიდა ბოლშევიკური სულისკვეთება. და აი ჩვენ შეგვეძლო დავმდგარიყავით ადგილ, მაგრამ დამლუპველ გზაზე — შეუვეძლო გეთქვა მუშებისათვის — უბედურება მთლად მთავრობის ბრალია, ჩამოაგდეთ იგი ძირს, აიღეთ ხელში ძალა-უფლება—მაგრამ ამას მოყვებოდა ქვეყნის განადგურება ჩვენ გზაზე არ შევამდექით. ჩვენ ავირჩიეთ ძნელი, მაგრამ უფრო საიმედო გზა ჩვენ უთხარით მუშებს; თქვენ უნდა გქონდეთ სარჩენი, კავშირების, სიტყვებისა და სხვა თავისუფლებანი და ყოველივე ეს უნდა გატარდეს ცხოვრებაში—და ეს თქვენ უნდა მიიღოთ; მაგრამ ამავე დროს აასრულეთ თქვენი ვალი, აღადგინეთ თქვენი ქვეყანა, აამუშავეთ იგი, ეს არ მოსწონდა ბევრს, მაგრამ ჩვენ ამის არ შეგვეშინდა, ეს იყო ჩვენი მოვალეობა. დავდიოდით სოფლიდან სოფელში და ასე ველაპარაკებოდით მუშებს, აგიტაციას ვაწარმოებდით. და მალე ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ეკონომიურათ განვითარებულია და მთა მაღაროებითაა დაფარული, მაღაროებში—1 წლის შემდეგ, იმდენი საქონელი დაამზადეს, რამდენიც ომამდის. და ეს იყო ნაყოფი არა მარტო ჩვენი მუშაობის, არამედ პროლეტარიატის შევნებს, შეკავშირების. ის რაც მე ვუთხარი ჩვენს მუშებს, უნდა გითხრათ აგრეთვე თქვენ. მე ვადარებ თქვენს ქვეყანას ჩვენს ქვეყანას და თქვენ დაინახავთ განსხვავებას. ჩვენში არის სეართოდ ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც სხვა და სხვა წრეების შეთანხმების ნაყოფია, იქ ჩვენ დიდი გავლენა გვაქვს, მაგრამ მთავრობა ჩვენი არ არის. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არის ეკონომიური სიძლიერე, განვითარება. მაგალითად თქვენ გაქვთ ბუნებრივი ნავთსადგურები—და ბათუმი, მაგრამ მოუწყობელი. გუშინ ვნახე ფოთი იქ მუშაობს 2,000 მუშა. ჩვენს ერთს ნავთსადგურში, ანტვერპენში კი მუშაობს 2.24,000 მუშა. აბა, შეადარეთ მუშაობა იქ და აქ, ჩვენი და თქვენი ნავთსადგურის მდგომარეობა, და ჩვენი განვითარება. თქვენ გაქვთ რკინის გზები, მაგრამ სადაც თქვენა გაქვთ 1 ვერსტი რკინის გზა, ჩვენა გვაქვს 1000 ვერსტი. ჩვენ გვაქვს განვითარებული ინდუსტრია. თქვენი ინდუსტრია მხოლოდ ჩანს ხშია. მაგრამ, მეორე მხრივ თქვენა გაქვთ ჩვენთან შედარებით უდიდესი შესაძლებლობა ამ მხრივ თქვენ ჩვენზე მაღლა სდგახართ. თქვენ გაქვთ ორი რამე რაც არა გვაქვს ჩვენ: პირველი ძალა უფლება უკვე თქვენს ხელშია, თქვენ გაქვთ ხალხის ბატონობა. მეორე მხრივ მდიდრები და უმდიდრესები ხართ. მარტო მარგანეცი, მისი დამუშავებით შეიძლება მთელი თქვენი ხალხის გაჭიკვება. თქვენ გაქვთ ნაყოფიერი მიწა, მუშაობთ ჩვენზე 10 ჯერ მეტს და მოგდით 3-ჯერ ნაკლები. მაგრამ თქვენა ხართ ჩვენი იმედი,

აქ არის ერთად ერთი ქვეყანა, სადაც არიან სათავეში სოციალისტები. ამიტომ თქვენი დაღუპვა და დამარცხება-იქნებოდა ჩვენი იმედის დაღუპვა და დამარცხება, და თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა. თქვენ უნდა ეკონომიურად გაამაგროთ თქვენი თავი უნდა განავითაროთ წარმოება, ამისათვის საჭიროა მუშაობა. იმუშავეთ არა მარტო თქვენ თვის, არამედ—ჩვენთვისაც—თქვენს მუშაობას ადევნებენ თვალყურს ყველა ჩვენი მოწინააღმდეგენი და ყველა თქვენ შეცდომებს იყენებენ ჩვენს წინააღმ. ბრძოლაში და ამ მხრივ ჩამი მოვალეობა გითხრათ—ნუ გა მტყუნებთ ჩვენს იმედებს, თანდა-თანი, მაგრამ რიგიანი მუშაობით გახადეთ თქვენი ბუნებით მდიდარი ქვეყანა—მი'

შემდეგ, როცა სასაფლაო წაღმა-უკუღმა გადათხრილია და აჩრელებული საფლავებით, წარმოგზავნა ადგილობრივ თვითინტენერი, რომელმაც ნაკურთხი, შემოთხრილი და გალამაზებულ სასაფლაოს მოაჭრა ნახევარი დესეტინა ადგილი თორმეტი მიცვალებულთურთ სახაზინო მიწათა ფონდის სასარგებლოდ.... ასეთია მოკლე შინაარსი დეკ. შუბლაძის მწარე მოხრობისა.

?!? ვითომდა დამნაშავე და ვითომ სიყალბის ჩამდენ გიგო ხატიაშვილისთვის არავის—არც სასამართლოს და არც ადმინისტრაციას ჯერ ეხმა ირ გაუცია რატომ? ეს სამინისტრომ და ბ. გიგომ იციან....სადა ვცხოვრობთ, მკითხველო სჯულით და ჯვრის შექმნილ და შენ-ხულ საქართველოში თუ ევლურ ევროპიაში? უფლებრივი სახელმწიფოში თუ აღმოსავლეთურ სატრაპიაში, სადაც ღუგოვიი-ხომერიკები თავის გემოვნებაზე განაგებენ სიკვდილს და სიცოცხლეს.

რა ვუყოთ ჩვენს მკვდრებსა? ან რას უპირობს სამინისტრო იმ თორმეტ მიცვალებულს, რომელნიც მიითვალა? ჰეშმარიტად შეუწყნარებელი გაუგებრობაა, რომელიც ჯერ ალბათ არ მოეხსენება მთავრობის თავმჯდომარეს.

ა—ლი.

გოლშევიზმის სამარე.

საერთოშორისო ომი მოკავშირეთა გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებული სახელმწიფონი უკვე ინაწილებენ დამარცხებულ გერმანია ოსმალეთის ავლა დიდებას, ნადავლში წილი უდევს ამერიკასაც.

გამარჯვებულნი მადლობის ნიშნად, ვანდეაში, სენტპერმინეში მათი გამარჯვების უდიდეს გმირს ჟორჟ კლემანსოს ბურგონის მაგარი ქვიდან გამოკვეთილ ძეგლს უდგამენ. სულ მალე ბურგონის ქვის კლემანსო, ფიქრ მორეული, ბედნიერი ღიმილით, გადახედავს ანტანტის სივრცეს და ეს იქნება უდიდესი სიტკბოება და მასთან ერთად, უაღრესი სიამაყეც გამარჯვებული საფრანგეთისა. ჟორჟ კლემანსოს თვალთა შუქი არ სწვდება ანტანტის მოკავშირე დიდ რუსეთს, რომელმაც ყველაზედ მეტი მსხვერპლი შესწირა ომის ღმერთს. იგი დღეს დამარცხებულთა ბანაკშია. მის მაგივრად, რომ მოკავშირეებთან ერთად გამარჯვების ნადავლს იყოფდეს, თავისი ხელით შექმნილ დოვლათსაც აჩანაგებს, ანადგურებს—ეს არის ხელობა „სოციალიზმის ოსტატებისა“ და აბა მათ ხომ პირველი ასეთი ოსტატები ჰყავთ.

„ან რის იმედი უნდი მქონდეს? თმა ყალყზედ მიდგება ყველა იმ შემზარავ სურათების ნახვით, რაც რომ რუსეთმა განიცადა, მაგრამ ის რაც მას მოელის, იმასაც განვჭვრეტ და მიტომაც ჩემს ვაებას არა აქვს საზღვარი. სადღაა მოსკოვი? იგი სისხლისა და ტალახის ოკეანედ გარდაიქცა. აშმორებული წუმპეებში, მოშხამული ჰაერი და უმწეო მშიერ-მწყურვალი ხალხი ერთად-ერთ მილიონ მიაზმებით მსუნთქავი, აი დღევანდელი მოსკოვი. გაზაფხულზედ გამდნარმა თოვლმა რუსეთი დაუსრულებელ ჭაობად აქცია, ახლა დადგება ზამთარი და ჩვენ კი აღარა შეგვრჩენია რა, აღარც საჭმელი, არც სასმელი, არც გასათბობი, არც წამლები მედიკამენტი, თვით საპონიც კი... ეხლა შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა არის წითელი რუსეთი და რა იქნება მისი მომავალი... არა ჩემს მწუხარებას სიტყვებით ვეღარ გამოვხატავ...“ აი გულ შემზარავი გოდება რუსის საუკეთესო ინტელიგენტ მაქსიმ გორკისა. ვისაც შეუძლიან ერთი წუთით მაინც წარმოიდგინოს თავისი სამშობლო ასეთ მდგომარეობაში, ის მისწვდება რუსინტელიგენტის გულის წვას, ის შეიყვარებს მის თვალთაგან მონადენ ცრემლს, და იგივე შეაჩვენებს და გაბოროტებულის ენით დასწყევლის „რუსულ მუჟიკურ ბოლშევიზმს“, რომელმაც „სოციალისტური ჯოჯოხეთი“ შეუქმნა დიდ რუსეთს.

დახურული ვაგონით ესტუმრა რუსეთს ბოლშევიკი ლენინი და მან თავისი ჯადოსნური სიტყვებით აიყოლია რუსის ბრიყვი მუჟიკი და წარუძღვა მას აღთქმის ქვეყნისაკენ. დიდი რუსეთი დღეს ეს მისგან აღთქმული „სოციალისტური სამეფოა“ სადაც გმინავს სიმშილითა და სიბინძურით განაწამები რუსი. „ნავვისა და სიბინძურისაკენ სოციალიზმის აღმშენებლებო“ მოუწოდებს მათ ცხვირ-დაგუდული ბოლშევიკთა ლიდერი, და ისინიც მისდევენ მათ კალათებითა და ნიჩბებით.

რუსეთის ხელმძღვანელებმა მოინდომეს კიდეც მთელი მსოფლიოს რუსეთი სამებრ გარდაქმნა, ევროპის პროლეტარიატსაც მოუწოდეს მსოფლიოს გაჩანაგება-განადგურებისაკენ, მაგრამ ამაოდ ევროპის მუშა მეტი შეგნებული და შორს-მჭვრეტი აღმოჩნდა, ვიდრე რუსის „ბრიყვი მუჟიკი“ იგი მეტი რეალისტი და პრაკტიკია, მას ვერ იტაცებს „პროფესიით მოლაყბე ხალხის“ განყენებული სიტყვები.

რუსეთიდან დაბრუნებულმა ევროპის მუშათა დელეგაციამ სამუდამოდ უარჰყო ბოლშევიზმი. „რუსეთის წითელმა დიქტატორებმა თავისი მოქმედებით და უკმეხობით, თვალები აუხილეს იმ მცირეოდენთაც კი, ვისაც ბოლშევიზმის მოწოდების რაიმე სჯეროდათ და ლენინს მესსიათ უყურებდნენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლენინმა თავის მოქმედებით თავის სამშობლო რუსეთს ააცილა თავიდან ის დაფნის შტოი, რომელიც გამარჯვების შემდეგ იმასაც უნდა რგებოდა წილად... არა, ინგლისის მუშები, იმდენად არ დაბრმავებულან, რომ ლენინის აღთქმული უბედურებანი თავიანთ სამშობლოს შესთავაზონ“.

— აი ევროპის პროლეტარიატის პასუხი „მესსია ლენინის“ მოწოდებაზე.

„დავკარგე რწმენა ლენინისა და ტროცკის რეალურ კომუნიზმისაო“— ამბობს ინგლისის კომუნისტთა ლიდერი აღენი—„ლენინის მეთოდები მიუღებელია განათლებულ ქვეყნებისათვის, რომელიც ვერავითარ ტირანიას ვერ მოითბენს, ვერც ცარიზმს და ვერც ბოლშევიზმსო“. ასევე უარყოფილად უყურებენ ლენინის ბოლშევიზმს საფრანგეთის მემარცხენე სოციალისტთა ლიდერები—კაშენი და ფროსარი, რომელთა სამშობლო ყველაზედ უფრო აშკარად ებრძვის ბოლშევიკურ რუსეთს. გერმანეთის მუშებმაც საკმაოდ გაუსინჯეს კაპილი „რუსულ მუჟიკურ ბოლშევიზმს“ და მათი მოქცევაც საბაბს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ევროპის მუშებმა სოციალისტ - ვანდერველდეს მიერ ნაჩვენებ ორ ანტითეზისთაგან მოსკოვსა და ლონდონისაგან. უკანასკნელი არჩიეს, როგორ კულტი შემოქმედებითი მუშაობისა, და ამით ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცეს, რომ ისინი არიან მართლაც დისციპლინის, კეთილსინდისიერის, და შემოქმედ ძალის განსახიერება.

ამის შემდეგ იქნეს გარეშეა გერმანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სიმონსის ნათქვამის სიმაგრე: „როგორც ისლამი შეეჯახა დასავლეთს და დამარცხდა, ბოლშევიზმიც ისევე შეეჯახება დასავლეთ ევროპის კულტურასო“.

ბოლშევიზმი შეეჯახა ევროპის ძლიერ კულტურას და შუშის ბურთივით დაიმსხვრა კიდეც. ეს ნამტვრევები „მესსია ლენინმაც“ დაინახა და იმიტომ იყო, რომ აღმოსავლეთის „ჩალმოსნებისაკენ“ იბრუნა პირი და თავისი პროგრამაც ყურახის ლოცვებით შეავსო. ხელი გაუწოდა მის მიერ დამარცხებულ ოსმალეთის ნაციონალისტებს, როგორც აღმოსავლეთის მუსლიმანთა დირიჟორთ და სრული იმედი აქვს, მათივე ხელით შეუქმნას მათ „აღმოსავლეთის ჩალმოსანთა სოციალისტური სამეფო“.

მაგრამ საქმე უფრო რთულება და შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ „ბოლშევიზმის სამარე“ აღმოსავლეთში გაითხრება და ებრაელი, ჯერ კიდევ მოუნათლავი ბოლშევიზმი, ხოჯათა გალობითა და ყურანის ლოცვებით დაიმარხება. აქ მარტო ქიშმიშის საკითხი როდია, აქ მთელი თავისი სიმძიმით სდგება ანტანტისათვის მრავალ საუკუნეთა მიერ გადაუხრელი „აღმოსავლეთის საკითხი“.

შორს არ არის ის დრო, როცა რუსეთის დღევანდელი იმპერიალისტები ძველ მონარქთა მიერ მიუღწეველ მიზანს დაინახავენ და ორას ორმოცდაათ მილიონ ინდოელების, ინგლისის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლებას მოინდომებენ. მე მგონია ინგლისის მთავრობა იმ დრომდე მოითმენს აღმოსავლეთში. „რუსულ ბუნტს“ ვიდრე პირადადად მის გულს მიაბჯენენ მახვილს, მაშინ კიშეფოლდში ახლად გაკეთებული საომარ ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის „სვერხ-ბერედას“ ყუმბარა სწორედ იმ ადგილს გასკდება, სადაც დღეს „რუსული ნაციონალისტური კასკა“ აღმოსავლეთის „ჩალმოსნებთან“ ერთად „დიდი ბრიტანეთის“ საწინააღმდეგო „ბუნტს“ ამზადებს, და ამ ყუმბარის ნათხარი იქნება ისტორიული სამარე „დიდი რუსეთის ბოლშევიზმისა“.

რუსეთის ბოლშევიკები კარჩაკეტილ ვაგონით მოვიდა და ბუნებრივი იქნებოდა კარჩაკეტილ რუსეთშივე მომკვდარიყო...

ელ-პ.ი.

გ. წინამძღვარიშვილის მოხსენება

ქ. **გორში კერძო მიწების ჩამორთმევის შესახებ.**

საექსპერტო კომისიის წევრ. საქ. მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს წარმომადგენელმა გიორ. წინამძღვარიშვილმა შემდეგი მოხსენებით მიჰმართა ქ. გორის კერძო მიწების ჩამორთმევ შერეულ კომისიას თავმჯდომარეს:

„იმ დროს, როდესაც ჩვენი სალოფლო მეურნეობის საფუძველი მთლად შერყეულია და ძველთაგან წარმოებული სალოფლო მეურნეობის უმაღლესი კულტურა მეგაღეობა მევენახეობა საშინელ კრიზისს განიცდის—სახელმწიფო და ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათა განსაკუთრებულ მზრუნველობის საგნათ უნდა გარდაიქცეს ის დარგები სასოფლო მეურნეობისა, რომელნიც ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველს შეადგენენ და რომელთა განვითარებაზედაც არის დამყარებული ჩვენი მომავალი კეთილდღეობა. ამიტომ დიდის სიფრთხილით უნდა მოვიქცეთ ისეთ საქმეთა განხორციელების დროს, როგორიცაა უმაღლეს კულტურულ მამულების ჩამორთმევა და მათი გაუქმება. ხოლო ყოველ შემთხვევაში როდესაც ეს მაინცა და მაინც აუცილებელი ხდება,—თვით სახელმწიფოს, ქალაქის და ყველივე სხვა დაწესებულების და კერძოთ ქალაქის ინტერესების სწორი გათვალისწინება, გვაიძულებს ისეთ პირობებში ჩავაყენოთ ჩამორთმეული მიწის მეპატრონე, რომ მას საშუალება მიეცეს მაინც თავისი მეურნეობა სხვაგან მაინც გადაიტანოს.

ამ მხრივ კი შერეულ კომისიის მიერ მიღებულ შეფასებით—სრულიად შელახულია, როგორც მესაკუთრეთა ინტერესი, ისე ყოველივე სამართლიანობის პრინციპი:

17 სექტემბერს საღამოზე შემდგარმა სხდომამ თითქმის უდაოდ მიიღო ის მოსაზრება, რომ ჩამორთმეულ ბაღ-ვენახების შეფასება უნდა მოხდეს მათი შემოსავლის გამორკვევით და ამ შემოსავლის კაპიტალიზაციით. იმაზედაც თითქმის შეგმთანხმდით, რომ ამ ბაღ-ვენახების შემოსავლიანობა დღევანდელ პირობებში უდრის 20000—200000 მანეთამდე წლიურად (ქალაქის წარმომადგენლების აზრით—კი მხოლოდ 160000 მანეთამდე) თვით მამულის მდგომარეობის მიხედვით. ის გარემოებაც უდაო აღმოჩნდა, რომ კაპიტალიზაცია უნდა მოხდეს 10 პრ. ანგარიშით, მაშასადამე ამ ბაღ-ვენახების ღირებულება უდრის 200000 დან მილიონამდე დესეტინა; მაგრამ როდესაც სხდომა იმ ცარიელ სახნავ ადგილების შეფასებას შეუდგა, რომელნიც საბაღოთ უნდა მიეცეთ, შერეულ თუ საექსპერტო კომისიის წევრმა და ქალაქის წარმომადგენელმა, ჩემის აზრით, მიუღებელი ცალ მხრივობა გამოიჩინეს, არ დაკმაყოფილდნენ იმითი, რომ თითქმის უვარგის მიწების შემოსავლიანობა წლიურად 40—60 ფუთ ხორბალად (ანუ 48 72 ათას მანეთად) იანგარიშეს მისი კაპიტალიზაციაც საჭიროდ სცნეს იმავე პროცენტით, როგორც ბაღ-ვენახების შემოსავალი და მაშასადამე ცარიელ მიწა დესეტინის ღირებულება 480—720 ათას მანეთამდე აიყვანეს;; შედეგათ მივიღეთ საწინააღმდეგო: ქალაქის წარმომადგენელთა აზრით დღევანდელ პირობებში საუკეთესოდ დამუშავებული ვენახი ქალაქის შუა გულში, ღობით შემოვლილი შიგ მარნით და სხვა მოწყობილობით ღირს დესეტინა 160000 მანეთი და ერთი დესეტინა სარწყავი სახნავი მიწა ქალაქს მოშორებით 720000 მან.; ე. ი. ერთი დესეტინა ვენახი უდრის 2 პრ. დესეტინა სახნავს. ეს შეეხება უმაღლესს კატეგორიას. ხოლო თუ ავიღებთ უდაბლესს კატეგორიას, იქ ხომ სულ გასაოცარ შეუსაბამობას აღვნიშნავთ: სრულიად უვარგისი სახნავი, რომელსაც რამდენიმე წელიწადი გაპოხიერება დასჭირდება, დესეტინა შეფასდა 480000 მანეთად, ხოლო ქალაქის ცენტში მდებარე, თუმცა მოუვლელი, მაგრამ მაინც ღობეში მომწყვდეული ბაღ-ვენახის ღირებულება მხოლოდ 200000 მანეთად დესეტინა ე. ი. ვისაც ქალაქში ჩამოერთმევა 2 პრ. დესეტინა დაქვითებული ბაღ ვენახი—ეს მიეცემა ქალაქიდგან 4 6 ვერსის სიშორეზე, დაახლოებით 500 ოთხ კუთხე საქონი ყოველად უვარგისი სახნავი მიწა.

ჩემს განცხადებაზე, რომ რომ „დიუმუშავებული ვენახი და სახნავის ერთი ზომის მიწა ხომ მიწას უდრის და ღობე ქალაქს შუაგულში მდებარეობდა, უკანასკნელი რამდენიმე ათეული ხეხილ და გეწეული შრომა ხომ მეღია“ მეთქვა—ბ. მ ქალაქის თავმა განაცხადა, რომ ჩვენ მაინცა და მაინც თანახმა ვართ დესეტინა ბაღ-ვენახში ორი დესეტინა სახნავი მივცეთ; ძველადაც ასე ყოფილაო, და როგორც აშკარად გამოირკვა დაახლოვებით ამ გვარი გარდაწყვეტილება აქვს ქალაქს, დამფასებელ კომისიის მოწვევა-კი მხოლოდ ფორმალური ხასიათის შესასრულებლად მოხდა, —რაც თვით ექსპერტიზას შეურაცხყოფს, რის წინააღმდეგ არ შემიძლია დაწესებულების სახელით, რომელმაც მე გამომგზავნა, პროტესტი არ განვაცხადო. ვფიქრობ ქალაქი ამ გვარ უსამართლო გარდაწყვეტილებამდე მიიყვანა იმ გარემოებამ რომ დეკრეტის ძალით ჩამორთმეული მამულების მეპატრონეთ უნდა აუნაზღაურდეთ თანაბარი ღირებულების საქალაქო მიწებით. ბაღ-ვენახების დღევანდელი ღირებულება კი ერთი სამოცად და ერთი ოთხმოცად მეტია სახნავ მიწაზედ: თუნდ ძველი შეფასებითაც რომ ავიღოთ, გორის ვენახები ერთი ოცად მეტათაა შეფასებულია სახნავ მიწებზედ; მაშასადამე მესაკუთრ. ჩამორთმეული 40 დესეტინა ბაღ-ვენახში ქალაქი იძულებულია გასცეს არა ნაკლებ 600 800 დესეტინა სახნავისა, რაც მართო ქ. გორის 1 ნახ. დესეტინა ნარმას-კი არა, თვით სოფლის ნორმას ერთი ათად და კიდევ მეტად აღემატებოდა. ამიტომ ქალაქის წარმომადგენლებმა მიჰმართეს სრულიად მიუღებელ საშუალებას—ესეთ ძვირფასი კულტურის (როგორიცაა მევენახეობა-მებაღეობა) და დამცირებით,—და ხირხატ გამოფიტულ მიწების შემოსავლის უზომო გაზვიადებით—უნდა იოლად დაახწიონ თავი უხერხულ მდგომარეობიდან ეს-კი შეუწყნარებელია.

გადაწყვეტა, რომ რამდენიმე ათეულ წლობით შექმნილი სამაგალითო და ფრიად შემოსავლიანი ბაღ-ვენახი ანდრონიკაშვილისა და გურგენ ივანეს მხოლოდ ერთ ან ორ დესეტინა სახნავ მიწის ღირებულებას უდრისო, მარტო იმიტომ, რომ ეს ქ. გორის თვითმმართველობისათვის ხელსაყრელია—დიდი დანაშაული იქნებოდა. ამ გვარად კითხვის გარდაწყვეტას საშინელი შედეგი მოჰყვება და ისედაც უკუღმართ გზაზე შემდგარს ჩვენს მეურნეობის საფუძველს მევენახეობა-მებაღეობას უსაშინელეს განსაცდელში ჩაგდებს. ამიტომ თამამათ შემიძლია განვაცხადო—ბევრათ სჯობიან ბაღების პატრონებს მამული სრულიად მიუმართავ ჩამოართვან, ვიდრე რაღაც დაფარული მოსაზრებით საჯარო გამოაცხადოთ, რომ ერთ დესეტ. ვენახში ერთი მეოთხედი დეს. სახნავი მიეცეთ. ეს გამოიწვევდა ჩვენი ვენახების გაკაფვას და ამის ჩადენა-კი სახელმწიფოს მოღალატეობათ უნდა ჩაითვალოს. თუმცა დეკრეტი ამას არ გულისხმობს, მაგრამ ჩემის აზრით, თუ მაინცა და მაინც ქ. გორისათვის აუცილებელია ვენახ-ბაღები ქუჩებათ აქციოს უმჯობესი იქნებოდა ჩამორთმეულ მიწაში იმავ ზომის მიწა მიეცეს პატრონს, ხოლო შიგ ჩაღვრილი შრომა, ღობე, მოწყობილება, მარანია და ყოველივე გაწეული ხარჯი შეფასდეს ფულად და მიეცეს იმ მოსაზრებით, რომ პატრონს საშუალება მიეცეს ბაღის, ვენახის ან ბოსტნის გაშენება, რაც თვით ქალაქისათვის ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა. მით უმეტეს რომ მიწის ძვირისაგან მარტო ისინი—კი არ დაზარალდნენ, ვისაც ეს ჩამორთმეული ბაღები საქონი 15 ანუ დესეტინა 36000 მანეთად უნდა მივცეთ-არამედ თვით იმ ბაღ-ვენახების პატრონებიც, რომელნიც მინგრეულ მონგრეფლ კარ-მიდამოში საშინელებათ მიიღიან ზამთრის სუსხიან დღეებს.

ჩვენი კორესპონდენტები

ს. ახუთი

(ზუგდიდის მაზ.)

— ენკენისთვის 12-ს ადგილობრივი მოვაჭრე ტრ. დემურიას დუქანი გასტეხეს. წაიღეს 140,000 მანეთ. საქონელი. ეს ნაშინათვე ეცნობა ადგილობრივ ადმინისტრაციას. სასტიკი ღონისძიების შემდეგ აღმოჩენილ იქმნა ბოროტმოქმედნი კუბეცია და სანაია, რომელნიც დახელოვნებული არიან ასეთს საქმეებში. ისინი გამოტყდენ დანაშაულში.

ხალხმა ბოროტმოქმედი პირებისაგან, ხზარალის ანაზღაურება მოითოვა. ხალხის მოთხოვნილება დააკმაყოფილეს და ბოროტმოქმედნი სამაზრო ციხეში გაგზავნეს.

— ენკენისთვის 14-ს ახუთის საზოგადოებას დიდი უბედურება ეწვია. ნაშუადღევის 3 თუ 2 საათზე სოფლის სამართველოში შემოიჭრნენ ყაჩაღნი ძმ. ლიპარტიანი. შიგ მყოფნი ყველა დააკავეს და მოსთხოვეს ამ სოფლის მილიციის უფროსი ქაჯაია, რომელსაც ემუქრებოდენ სიკვდილით. ექიმი ა. ვეკუა და ი. ჯ-ნია გაგზავნეს ყაჩაღებმა დელეგატად ქაჯაიასთან, იმ პირობით რომ ისინი ქაჯაიას არ მოკლავდენ. როცა დელეგატებმა უთხრეს საქმის ვითარება, ქაჯაიამ უარი განაცხადა, იარაღიანად გაიქცა და ჩაესაფრა. ასტეკდა საშინელი სროლა ყაჩაღებისა და მილიციის უფროსს შორის. სროლა გაგრძელდა სრული ერთ საათს, რომლის შემდეგ ყაჩაღებმა თავისუფლად, მოურიდებლად გაუდგენ გზას. სროლის დროს არავინ დაზიანებულა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა უბნის მილიციის უფროსი რომელმაც შეკრიბა ხალხი და მთელი დღე და ღამე ერთ ალაგას ყავდა, სანამ არ გასცენ ის პირნი, რომლებიც ინახავდენ და ასაზრდოებენ ძმ. ლიპარტიებს. ამ პირთ მისცეს წინადადება ახუთის ერობის ხმოსანთა სახელით: თუ ისინი 15 დღის განმავლობაში არ ჩაბარებენ ლიპარტებს, ვადასახლებული იქნებიან ამ სოფლიდან. სალხი შიშით წრწის ამ ყაჩაღებისაგან. სიტყვის ამოღება ვერავის გაუბედნია მათ წინააღმდეგ. წელიწად ნახევარია, რაც ამ ყაჩაღებს ადმინისტრაცია სდევს. და ვერ იქმნა მათი დაჭერა. ხალხი დიდი უკმაყოფილოა ადმინისტრაციის. მილიციას მართებს მათი წინააღმდეგ სასტიკი ზომებით მიიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ახუთი შეიქნება ყაჩაღთა ბუდე.

მარტოშია

ს. თამარაშენი. (ცხინვალის თემი). 22 ენკენისთვეს თამარაშენელ გორგი მინდიაშვილს საფრიდგან სოფელში თოფი ვანტოვკიდგან ესროლეს. ტყვია მარცხენა ყბაში მოხვდა, ნიკაბში გაუარა მეორე გვერდზე და კბილები ჩაყარეინა ეშვით შეიპყრეს მისი მეზობელი გიორგი მინდიაშვილი.

—

ს. ქვხმო ხვითი, (შინდისის თემი). გიორგა ლაცაბიძემ ქალი სთხოვა გიორგა მეგრელიშვილს, ვერ მოიგდნენ, ამის გამო გ. ლაცაბიძემ მიიშხრო 15 ძმა ბიჭი, ღამით დაეცა თავს გიორგი მეგრელიშვილს, ესროლა თოფი, თავში დასჭრა სასიმამრო და მისი ძმა გიორგი მეგრელიშვილი, ქალი მოიტაცეს, მაგრამ შერიმდევარმა გზაში წაართვა ქალი. დაჭრილებს თურმანიძე სწამლობს.

—

ს. მონასტერი [ცხინვალის თემი). 8 სექტემბერს ღვთიშობლობამ ამ მონასტერში მრავალი მლოცველი მოიზიდა. კვლავ ამ დღეობაში ოსები სჭარბობდნენ ქართველებს, ეხლა კი აღარავინ სჩანდა. დღეობამ მეტად მშვიდობიანად ჩაიარა. ეკლესია, ძველის ძველი ნათალი ქვისა, მშვენივრად მოვლილი იყო. დღეობის ელფერი არ შეცვლილა. თუ უწინ თავადი და აზნაური დაჭენებდნენ ცხენებს, ეხლა კომისრები, გვარდიელები და სხვანი. ხალხი ახლო-მახლო სოფლებს ეწვივნენ. მაგრამ ქეიფის დროს მთელი დღე და მეორე დღეს საღამომდის დიდი თოფის სროლა იყო, ასე რომ ტყვილ-უბრალოთ ამოდენა ტყვია წამალი დაიხარჯა. დროა აეკრძალოთ ტყვილ უბრალოთ ძვირფას ტყვია წამლის წვა.

—

ლანრეგანი (სამტრედიას რაიონი). მთელმა თემმა 1920 წ. 11 ენკენისთვეს ერთხმად დაადგინა ამავე თემის ბაზრის მოედანზე ააგოს სახალხო სახლი. ამ მიზნით დაარსებულია აღმაშენებელი კომიტეტი. კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა მასალებისა და საჭირო თანხის შესაგროვებლად.

თერჯოლა.

(შორაპნის მაზ.)

წელს თერჯოლის თემის მცხოვრებლებმა დიდი სიმშილი გაიარეს. სამი-ოთხი თვის შემდეგ მეათედსაც არ ეყო ჭირნახული. სიმშილით დასუსტებულნი დიდის იმედით შეყურებდენ ახალ მოსავალს: „ხაცაა მოვა. სიმინდი და ღვინო და პატარა მოვ[illegible]“, [illegible] ; მაგრამ იმედი გაუცრუვდა [illegible] ; ერთი სოფ[illegible], ოკანკათი, ისე გაანადგუ[illegible] სეტყვამ, რომ მნახველი რაც უნდა [illegible] ადგილი იყოს [illegible] ტ[illegible]ს დაიწყებს. ამას დაუმატეთ, ისიც რომ წელს ტროროზის დროს დიდი გვალვა იყო და ახლა კი გამუდმებული წვიმებია ასე რომ მოსავალს ძლიერ ცუდი პირი უჩანს.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხ. კ. ედია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3-მე კურსელი
სტუდენტი ილეგს
გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ს
იკითხეთ ეროვნულ დემოკრატიულ ბიუროში, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 დილის 8—1 საათამდე. უფ.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თ.

ყოფილი 1 კავკასი ს კორპუსის სამხედრო ბე თალი-ექიმი
ი. ბ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (ხაპს) ვიკვლევ ბალეინის შეზხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მ ლის ავთმყოფობას ვიქიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლეტი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2. თ. 43

მატარებელის მიმოსვლა.
თბილისიდან მიდის.

ბორჯომამდის	№ 17	7. 52
ბორჯომში ჩადის		2. 09
ფოთამდის	№ 3	9. 56
ფოთში ჩადის		10. 20
ბორჯომამდის	№ 19	2. 30
ბორჯომში ჩადის		8. 00
ბათომამდის	№ 17	8. 00
ბათომში ჩადის		9. 00
ბათომამდის ჩქარი	№ 5	11. 44
ბათომში ჩადის		11. 27
თელავამდის		8. 30
ქუთაისამდის	№ 9	9. 50
ქუთაისში ჩადის		6. 00
სანაინამდის		1. 40
სალ-ოღლამდის		10. 10

თბილისში მოდის.

ბორჯომიდან	№ 20	12. 30
თბილისში მოდის		6. 30
ქუთაისიდან	№ 12	11. 47
თბილისში მოდის		9. 30
თათომიდან ჩქარი	№ 6	11. 00
თბილისში მოდის		12. 12
ბათომიდან	№ 8	3. 50
თბილისში მოდის		7. 44
ფოთიდან	№ 4	8. 25
თბილისში მოდის		7. 47
თელავიდან		7. 00
სანაინიდან		11. 30
სალ-ოღლიდან		4. 25

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საგულჭალტერო კურსები
თ. მ. ფილიპანისა
ორთავე სქესისთვის. (თფილისი, მიზეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული ონყოფილება. 3101. 15—13

ფორტეპიანის კლასი
ია. ლ. პორტუგალოვის
მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის. ველიამინოვის ქ. № 3 ქალაქის თვითმართველობის გვერდზე. 10—3130—

საჭიროა
ბოსამსახურე ქალი.
მოიკითხეთ „საქართველოს“ კანტორაში. 4—7—

სტამბა „საქართველო“ დამფუძნებ. კრების ქ. № 5.